ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1699101

ნომერი: AR1277394

თარიღი : 06.01.2015

გაცემის თარიღი : 26.01.2015

გაცნობის თარიღი : 05.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068) / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვეთი 02/096 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოშრევან ნამორაძე პ/ნ 01018000728
- ჯავახიშვილის 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა შეტანის თაობაზე

მოქალაქე ნოშრევან ნამორაძემ 06.01.2015 წ. #AR1277394 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.01.002.095, ფართობი: 1219 კვ.მ.) ინდივიდუალური

საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 25.12.2014 წ. #1656424 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.

ზემოაღნიშნულ პირობებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე დატანილი იქნა 6 მეტრიანი განაშენიანების რეგულირების ხაზი. განმცხადებელი ითხოვს 6 მეტრიანი განაშენიანების რეგულირების ხაზის გაუქმებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ჩრდილოეთის მხრიდან განკუთვნილია 6 მეტრიანი გზა არსებულ ოთხ ნაკვეთთან მისასვლელად, ხოლო, სამხრეთის მხრიდან გათვალისწინებულია დამატებით სამი 8 მეტრიანი გზა, სამომავლოდ სამშენებლოდ განვითარებისთვის. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.18.01.002.105 ფართობი: 1238 კვ.მ.) რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის პარამეტრები.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: ამოღებულ იქნას შენიშვნა:
   - დაცული იქნეს მიწის ნაკვეთზე დასმული განაშენიანების რეგულირების ხაზი (6 მ);
   - პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილ იქნეს საპროექტო მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი სამანქანო გზის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.18.01.002.105; ფართობი: 1238 კვ.მ.);
3. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 1238 მ2, საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.18.01.002.105;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.12.2013 წ. #1018085 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.